ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 მაისი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 89 (10 008) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჩვენს მკითხველებს!

„ლელოს“ რედაქციაში შემოდის შეკითხვები, სადაც მკითხველებს სურთ გავაცნოთ ოლიმპიურ თამაშებში ცალკეული ქვეყნების მონაწილეობის კონკრეტული პირობები, რა მოეთხოვება ამა თუ იმ სახელმწიფოს, რომ გახდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (მოკ-ის) წევრი, როგორია სპორტის ცალკეულ სახეობებში საერთაშორისო ფედერაციებთან ქვეყნების ურთიერთობა, როგორ და რა წესით ხდება ამ ფედერაციებში გაერთიანება და არის თუ არა ეს გაწევრიანება მოკ-ის შემადგენლობაში შესვლის აუცილებელი პირობა. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით რედაქცია უკვე შეუდგა მასალების მომზადებას, დახმარება სთხოვა ჩვენს წამყვან სპეციალისტებს.

ამასთან გაცნობებთ, რომ უკვე შემუშავებულია და განხილვის პროცესშია სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ახალი რედაქცია, რომელიც მთელ რიგ სიახლეებს ითვალისწინებს.



**თბილისის** „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს მძლეოსანთა სეზონის პირველი შეჯიბრება ღია არენაზე. ჩვენ უკვე გაცნობეთ რამდენიმე ახალგაზრდა მძლეოსნის მიღწევების შესახებ, რომლებმაც გააუმჯობესეს რესპუბლიკური რეკორდები თანატოლთა შორის. დღეს გთავაზობთ ვაჟთა ასპარეზობის მომენტს 1500-მეტრიან დისტანციაზე, სადაც გაიმარჯვა ახალციხელმა ზიგმუნდ ზილბერშტენმა (იგი სურათზე მეორეა). მასალას ამ ასპარეზობის შესახებ გაზეთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

### საკავშირო ახალგაზრდული თამაშები

## მესამე—პირადშიც და გუნდურშიც

**ალუშტა.** ახალგაზრდობის საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მრავალდღიან ველორბოლაში უკვე ოთხი ეტაპი მოეწყო. პირად ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა. წინაა პოვნიკოვი. მას მცირედით ჩამორჩება ჯავაიიანი. საქართველოს ნაკრების წევრს ვასილ დავიდენკოს მესამე შედეგი აქვს.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები. საქართველოს გუნდი მათ 2,5 წუთით ჩამორჩება და მესამე ადგილზე იმყოფება. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურებული ხუთეულია: 1. რუსეთის ფედერაცია — 47:37.52, 2. ლიტვა — 47:40.20, 3. საქართველო — 47:40.29, 4. უკრაინა — 47:41.27, 5. ლატვია — 47:44.44.




## 13 მაისს...

**თბილისის** ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) ჩატარდება პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობის პროგრამით. მეტოქე წყვილებია: **ვაყა (ხაშურის რაიონი) — პატარძეული (საგარეჯოს რაიონი); ქისტაური (ახმეტის რაიონი)— ქორდა (გორის რაიონი).**

დასაწყისი 13 საათზე.

## მშვიდობის ველორბოლა

**ვარშავა.** მშვიდობის ველორბოლაზე ჩატარდა ორი ეტაპი. პირველი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა და მისმა ლიდერმა ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვმა, მეორე ეტაპზე (ვარშავა — ლოძი) გაიმარჯვა პოლონელმა ზბიგნევ სპრუხმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა უვე რააბიცა (გდრ) და აბდუჟაპაროვიც.

### ჭორია თუ მართალია?

## რა სურს რიმა ბილუნოვას?

ამას წინათ, გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ მინსკში 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობების შესარჩევ ტურნირში ერთპიროვნული გამარჯვება იზეიმა თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ქეთევან კახიანმა, რომელმაც ორივე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობებში გამოსვლის უფლება მოიპოვა. აქვე, კახიანის მწვრთნელის გიორგი მაჭარაშვილის ნაამბობიდან შევიტყვეთ, რომ ეს დამსახურებული და კანონიერი გამარჯვება სადავო(!) გამხდარა ქალთა საკავშირო ნაკრების მწვრთნელის რიმა ბილუნოვას ტენდენციური გამოხდომების (სხვაგვარად მის საქციელს ვერ მონათლავ) წყალობით, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგაც ყველა ღონეს იხმარს, რათა კახიანს დააკარგვინოს 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის უფლება, გზა რომ გაუკაფოს მეორე ადგილზე გასულ სვეტლანა მატვეევას, რომელსაც 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია წლოვანების გამო.

ჯერ ერთი, ქეთევან კახიანს შესარჩევ ტურნირზე გამარჯვების შემთხვევაში არჩევანის შესაძლებლობაც ჰქონდა — რომელ ასაკობრივ ჯგუფშიც სურდა იქ გამოვიდოდა. თუკი ქეთევანი თავის არჩევანს 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე შეაჩერებდა, მაშინ 18 წლამდე ასაკის ტურნირში გამოვიდოდა თბილისელი ოსტატი ნათია ჯანჯღავა, რომელიც ამ ასაკის გოგონებში პირველი იყო კახიანის შემდეგ. სწორედ ამან „გააწიწმატა“ რ. ბილუნოვა და შეეცადა სრულიად გაუმართლებელი ხერხებით „წყლის ამღვრევას“.

რ. ბილუნოვას მოქმედება არა მხოლოდ აღმაშფოთებელია, არამედ იურიდიულადაც გაუმართლებელია, იგი მოკლებულია ყოველგვარ არგუმენტირებას. ხომ დღესავით ნათელია რ. ბილუნოვას „აფორიაქება“. მას აშკარად აღიზიანებს, რომ სამივე ასაკის (დიახ, 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საგზურიც ხომ ჩვენს თანამემამულეს სოფიკო ნიკოლაძეს უნდა ერგოს, რომელმაც ბელცელ ი. ზაკთან ერთად გაიყო I-II ადგილები, მაგრამ დამატებითი კოეფიციენტები სოფიკოს უკეთესი აქვს) მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობების საგზურები ქართველმა მოჭადრაკეებმა დაისაკუთრეს. რას ვიზამთ! როგორც მწარეც უნდა იყოს ზოგიერთისთვის სინამდვილესთან თვალის გასწორება, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ დღეისთვის ქართველ მოჭადრაკე ქალებს ბადალი არ მოეძებნებათ.

ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია რეაგირების გარეშე არ დატოვებს რ. ბილუნოვას გაუმართლებელ მოქმედებებს და არ მისცემენ მას ჭეშმარიტების გაყალბების უფლებას.

მე, როგორც საჭადრაკო ხელოვნების თაყვანისმცემელი და ამ ბრძნული თამაშის გულშემატკივარი, ვგმობ რ. ბილუნოვას მიკერძოებულ, ტენდენციურ საქციელს, რაც მას სხვა დროსაც არაერთგზის გამოუვლენია ქართველ მოჭადრაკე ქალებთან დამოკიდებულებაში.

**ვაჟა ძიგუა,**
**საქართველოს კულტურის სამინისტროს თანამშრომელი.**

**რედაქციისაგან:** ვაჟა ძიგუას წერილში ზოგი რამ საეჭვოდ და გაზვიადებულად მიგვაჩნია, ამიტომ რიგ საკითხებში ავტორს ვერ დავეთანხმებით. ამ ამბებში სიცხადის შესატანად გუშინ დავუკავშირდით საქართველოს სპორტსახკომის ჭადრაკისა და შაშის განყოფილების გამგეს, საერთაშორისო დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძეს, რომელმაც გვაცნობა, რომ ქეთევან კახიანის საკითხი სერიოზულად დგას დღის წესრიგში. შემდეგ ბ. გურგენიძემ დასძინა: ოფიციალური წერილი უკვე გაეგზავნა საკავშირო სპორტსახკომის შესაბამის განყოფილებას, 11 მაისს გაიმართება ფედერაციის სხდომა და, ვფიქრობთ, ყველაფერი ისე გადაწყდება, როგორც ამას ჩვენ მოვითხოვთ.

შედეგებს გაცნობებთ.

## იმსჯელებენ აქტუალურ საკითხზე

**ხვალ**, 12 მაისს, 11 საათზე, სახალხო განათლების სამინისტროში (კამოს ქ. №52) ტარდება სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელების, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრათა გამგეებისა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების დირექტორების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. დღის წესრიგშია: **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხი.**

### ინფორმაცია

**ჰარისბურგი** (აშშ). მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ტრამპის“ მესამე ეტაპი ბელგიელმა ერიკ ვან დერ ერდენმა მოიგო — 5:30.45. ფინიშთან მეორე იყო ვიაჩესლავ ეკიმოვი, რომელიც სამი ეტაპის შემდეგ მეოთხე ადგილზე იმყოფება.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ

**მსოფლიოს** 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ევროპის III ზონის გუნდებს შორის გუშინ შედგა სტამბოლში. თურქეთის ფეხბურთელებმა მიიღეს სსრ კავშირის ნაკრები, ეს ორი გუნდი შესარჩევ ჯგუფში ლიდერობდა, ამიტომაც თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 1:0.

იქვე, სტამბოლში, წინა დღეს გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 21 წლამდე ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელები.

თამაში მოიგო საბჭოთა ნაკრებმა — 3:0, იგი 3 მატჩის შემდეგ 5 ქულით ლიდერობს ჯგუფში. ჩვენს გუნდს მორიგი შეხვედრა ექნება 5 სექტემბერს ავსტრიის ნაკრებთან.

+1



**9 მაისს** დიდი ზეიმი იყო ხოვლეში; სოფლის ცენტრში გაიხსნა კარგა ხნის ნანატრი ღია საჭიდაო არენა, რომელიც კასპის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს მუშაკებმა ააგეს. ახალ ბაზას ეწოდა დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული ხოვლელი ფალავნის სულიკო კომაძის სახელი.

ხოვლეში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ქართული ჭიდაობაა და არენის საზეიმოდ გახსნის შემდეგ გაიმართა ხალხმრავალი შეჯიბრება კასპელ, ლამისყანელ, ყარალაჯელ, კავთისხეველ, ახალქალაქელ, მეტეხელ და ხოვლელ ფალავანთა შორის.

აქაურთა დიდი სიყვარული ჭიდაობისადმი იმედს გვაძლევს, რომ ახალი არენა ხშირად იქნება ასეთი ასპარეზობა-საღამოების მასპინძელი.

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



**ამბობენ, რომ ბილიარდი, ეს ნახევრად აკრძალული და ნახევრად ალკვეთილი ხილი — ტკბილია. თითქმის ოთხი საუკუნეა, თამაშობენ ადამიანები ამ თამაშს და არ ჰბეზრდებათ! თამაშობენ დიდები და პატარები, ქალები და მამაკაცები, მდიდრები და ღარიბები. მხოლოდ თამაში ათანაბრებს მათ შანსებს, მხოლოდ ბილიარდის ბურთმა, კიიმ და ლუზამ იციან, ვინ არის აქ მეფე...**

**არის** თუ არა თვით თამაშის არსში რაიმე აკრძალული, კანონსაწინააღმდეგო, ამორალური? ვინც ერთხელ მაინც მდგარა მართკუთხა მაგიდასთან, იცის, რომ არა. მაგრამ ცნობილი გახლავთ სხვა რამეც: საბილიარდო რაღაც ისეთი ადგილია, სადაც სხვადასხვა ჯურის და არცთუ ყოველთვის მშვიდობიანი ადამიანები იყრიან თავს; მათ შორის ქურდებიც, ნარკომანებიც და ნაირნაირი შულერებიც. პირდაპირ სასირცხვოდ ითვლება იმის აღიარება, რომ შენ ბილიარდს თამაშობ სერიოზულად, რეგულარულად...

არა, ბატონო, თავად თამაშში ცუდი არაფერია. მისდამი ჩვენს დამოკიდებულებაში კი არის. მაგრამ ხომ არ შეიძლება ის გრძნობა, რომელიც ჩვენ საბილიარდოს „საზოგადოების" მიმართ გაგვაჩნია, თვით ბილიარდზე გადაგვქონდეს! აუცილებელია ამ ორი ცნების გასხვავება ჩვენს შეგნებაშიც და ჩვენს ცხოვრებაშიც.

ბოლოს და ბოლოს უნდა გადაწყდეს — კვლავაც ვითმინოთ ბილიარდის გარემომცველი ნახევრად ლეგალურ ელემენტთა კერა, თუ მაგიდასთან პატიოსანი და წესიერი ადამიანები მივუშვათ. „ინტერესზე" თამაში „ინტერესით" თამაშად უნდა გადაიქცეს. პირადად მე მიმაჩნია, რომ ბილიარდი ღირს მისთვის ბრძოლად.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. მოსკოვში 15-დან 19 მარტამდე მიმდინარეობდა ქალაქის თასის ღია გათამაშება საბილიარდო სპორტში. შექმნილია საბილიარდო სპორტის მოსკოვის ფედერაცია, დღე-დღეზე მოეწყობა საკავშირო ფედერაციის დამფუძნებელი სხდომა, გამოჩნდნენ სპონსორებიც. მაგალითად, მოსკოვის ტურნირის ორგანიზაციაში დედაქალაქის ფედერაციასა და ქალაქის სპორტკომიტეტთან ერთად საბჭოთა-დანიური საწარმო „ჩელეკიც" მონაწილეობდა. მაშ ასე, ბილიარდი „მაღალ საზოგადოებაში" გავიდა? სამწუხაროდ, სიხარული ნაადრევი გახლავთ. როცა დავით ბერსენაძის, ამ ტურნირში ერთ-ერთი გამარჯვებულისა და ამასთან დასახელებულ შეჯიბრებაში საქართველოს ერთადერთი წარმომადგენლის ძებნას შევუდექი, ვერც ერთი სპორტული მოღვაწე ვერ დამეხმარა, ისევ ჩემი ნახევრად ლეგალური კავშირების გამოყენება მომიხდა...

და აი, დათო ბერსენაძე ჩვენს რედაქციაში საწერ მაგიდას უზის. იგი 25 წლისაა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტია. ჩემთვის უცნაური და უჩვეულოა მისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა. საერთოდ, იმ საზოგადოების ადამიანები, რომელსაც დათო ნებსით თუ უნებლიეთ წარმოადგენს, მიმნდობლობით არ გამოირჩევიან. მათგან ენაწყლიანებიც კი იშვიათად არიან ხოლმე გულახდილნი. რას იზამ, ამ საზოგადოებას თავისი კანონები აქვს... ამიტომაც მეუცხოება, რომ დათო ასე გულახდილად მიყვება ბილიარდსა და საბილიარდოზე. რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ გაგვიცრუვდეს რწმენა, იმედი იმისა, რომ სიმართლე დაგვეხმარება, ყველაფერი გარდავქმნათ! და განა მხოლოდ ბილიარდში?..

# ბილიარდის ლეგალიზაცია?



● **დათო, როგორ მოგაგნეს?**

— ჩემი ძებნა არც კია საჭირო. თუმცა ბილიარდს ყოველი მეორე ადამიანი თამაშობს, ბილიარდისტი ჩვენში ძალზე ცოტაა. ეს თამაში რეგულარულად წვრთნასა და საკუთარ თავზე გამუდმებით მუშაობას მოითხოვს. ყველას როდი შეუძლია ან სურს ბილიარდს მიუძღვნას ცხოვრება. ამიტომაც ნამდვილი პროფესიონალი ბილიარდში ძალზე ცოტაა და ჩვენ ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს.

● **ესე იგი, ბილიარდი პროფესიული თამაშია?**

— განა „დიდი სპორტის" სხვა ნებისმიერი სახეობა პროფესიული არ არის? განა ჩვენი ფეხბურთელები, ჩოგბურთელები, კალათბურთელები, და ყველა სხვაც! — წვრთნის გარდა სხვა რამითაც არიან დაკავებულები? ან აქვთ მათ შემოსავლის სხვა წყარო?

● **შენთვის? შენთვისაც საარსებო წყაროა ბილიარდი?**

— ძირითადი არა, მაგრამ... აი, ვთქვათ, ჩოგბურთში. შეგიძლია მთელი სიცოცხლე კედელთან იდგე, ბურთსაც მშვენიერად ურტყამდე, ოსტატი კი ვერასოდეს გახდები. აქ კარგი პარტნიორია საჭირო. ბილიარდში კი „ინტერესის" გარეშე არავინ გეთამაშება, და ვერც ვერასოდეს ისწავლი რამეს.

● **მაშასადამე, შეკრული წრეა?.. თუ გინდა ბილიარდი ითამაშო, ფული იქონიე, თუ ფული გაქვს, შეგიძლია ბილიარდი ითამაშო...**

— თუ ბილიარდი ოფიციალურად, რაც მთავარია, სიტყვით კი არა, საქმით, ბოლოს და ბოლოს იქნება სპორტად აღიარებული, მაშინ ყველაფერი შეიცვლება. მაშინ საბილიარდოებიც გაიხსნება, და ყველას შეეძლება ითამაშოს. მოსკოვში ოციან წლებში სამასი საბილიარდო იყო, ახლა კი ორ ათეულამდე თუ იქნება. საქართველოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არადა, ჩვენ ბევრი ძლიერი ბილიარდისტი გვყავს! მაგრამ შარშან ბილიარდში რესპუბლიკის პირველობის ჩატარება რომ გადაწყდა, მუშტაიდში რამდენიმე დღით გახსნეს საბილიარდო, მერე კი ისევ დახურეს.

● **მოსკოვის ტურნირი როგორღა იყო ორგანიზებული?**

— ტურნირი, მეტი რომ არა ვთქვათ, ისე ეშმაკურად იყო მოწყობილი, რომ გამარჯვებისთვის მხოლოდ ოსტატობა მეტისმეტად ცოტა იყო.

ეს იყო ბილიარდში მოსკოვის თასის ღია გათამაშება და, რაკილა იგი „ღია" იყო, ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობის მიღება. ჩვენს შორის ერთი უცხოელიც კი იყო — ანტი საარი, ფინეთიდან, მას არავინ იცნობდა. მონაწილეობის მიღება ბევრს სურდა. ეს გასაგებია — პირველ რვა ადგილზე გასულებს 200 ათასი დოლარი უნდა გაეთამაშებინათ (გენერალური სპონსორი ამერიკული ფირმა „უორლდ კრაფტს კორპორეიშენი" გახლდათ). თუ გაინტერესებთ, გეტყვით — პირველი ადგილისთვის დაწესებული იყო 100 ათასი დოლარი; მეორისთვის — 50.000, მესამისთვის — 25.000, მეოთხისთვის — 12.500, დანარჩენი 12.500 V-VIII ადგილებზე გასულ მონაწილეებს უნდა გაეყოთ. მაგრამ ორგანიზატორების, კერძოდ, საბჭოთა-დანიური საწარმო „ჩელეკის" ეშმაკობა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს პირველი რვა ადგილი... წინასწარვე იყო განაწილებული. ოცდათორმეტი მონაწილისგან რვა ჯერ კიდევ შეხვედრების დაწყებამდე იყო გამოყოფილი ე. წ. „ფავორიტთა" ჯგუფად. ამასთან, უცნაურია, არა? — მათგან ოთხს ურთიერთობა აკავშირებს ფირმა „ჩელეკთან".

დანარჩენი ოცდაოთხი მონაწილე კი, და, რაღა თქმა უნდა, მეც, რვა ქვეჯგუფად დაყვეს, თითოეულში სამი კაცი შედიოდა. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ტარდებოდა, მაშასადამე, ქვეჯგუფშივე უნდა ჩაგვეტარებინა ორი შეხვედრა, ფინალში გასასვლელად კი ხუთი. იმათთვის, ვინც ფავორიტთა ჯგუფში იყო, ფულადი პრემიის პრეტენდენტთა რიცხვში მოსახვედრად ერთი გამარჯვებაც კმაროდა.

● **თუ ყველაფერი წინასწარვე ასე ეშმაკურად იყო გააზრებული, იქნებ თამაში არც ღირდა?**

— ორგანიზატორებმა მთავარი მაინც ვერ გაითვალისწინეს — „ადამიანის ფაქტორი". ტურნირში ხომ უბრალოდ სპორტსმენები კი არა, ეგრეთ წოდებული „ნახევრად მაღალი საზოგადოებიდან" ახლახან გამოსული ადამიანები მონაწილეობდნენ, ჩვენ შეჩვეულები ვართ იმას, რომ ვილაც ცდილობს მოგატყუოს, გაჯობოს. მაგრამ განა იქნებოდა ჩვენი მოტყუება? თუ ჩვენ დავიჯერებთ, თუ ჩვენ „ლეგალიზება" მოვინდომეთ, თუ ჩვენ მოვინდომეთ სპორტსმენები გვრქმეოდა, თუ ჩვენ სინათლეზე გამოვედით, თუ ჩვენ ტელეეკრანებზე გამოვჩნდით? ხომ შეიძლება პროფესიონალ ბილიარდისტებთან საერთო ენის გამონახვის ეს ცდა უკანასკნელი აღმოჩნდეს?..

● **ესე იგი, მაინც მოგატყუეს? ვერ მიიღე შენი ... ?**

— ... ერთი ცენტი. ... დავაო შეჯიბრების ჩატარების ... უსამართლო სისტემის ... ჩვენ მაინც ... კოლექტივების ... მათს ხარისხთა ტაბელში. პოტიკიანმა I-II ადგილები გაიყო ანტი საარისთან, მესამე მე ვიყავი, მეოთხე ადგილზეც ახალგაზრდა იური სოხნინი გავიდა. მაგრამ ფინელი კონკურსგარეშე გამოდიოდა და, თუ ამ გამარჯვებას გავითვალისწინებთ, მე მეორე პრიზიორად უნდა ჩავითვალო. თუმცა დაკავებული ადგილების მიუხედავად, არც ერთ ჩვენგანს ფული არ მიგვიღია... „ჩელეკი" „უორლდ კრაფტს კორპორეიშნს" აბრალებს, რომელსაც, თითქოს ფული არ გადაურიცხავს საგარეო სავაჭრო ბანკში.

მერწმუნეთ, ახლა ფულის საკითხი არც იმდენად მნიშვნელოვანია — თუმცა, იმედია, ისიც გადაწყდება. გაცილებით მწვავედ დგას ბილიარდის, ბილიარდისტების საზოგადოებრივი სტატუსის პრობლემა. კიდევ დიდხანს უნდა ვიყოთ შეყუჟულები სარდაფებში, კიდევ დიდხანს უნდა ვცხოვრობდეთ და ვვარჯიშობდეთ ნახევრად ლეგალურად?

...დავით ბერსენაძე — 25 წლის თბილისელი ინჟინერი, გახლავთ საქართველოს ჩემპიონი ბილიარდში, ჩვენი რესპუბლიკის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ახლახან გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, მისი ერთ-ერთი პრიზიორი (ჯერ ზუსტად არ ვიცი მეორე თუ მესამე). თავის დროზე დათომ შეასრულა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი ძიუდოში და სპორტის ოსტატობის კანდიდატისა ჩოგბურთში. მას აქვს პროფესია და, როგორც ხედავთ, არცთუ მცირე სპორტული გამოცდილება. მაგრამ ბილიარდის ბურთმა, კიიმ და ლუზამ იმდენად გაიტაცა, რომ დათომ სხვა ყველაფერზე უარი თქვა. ჩვენ როგორღა მოვიქცეთ — ვცადოთ, თუმცა კი წარმატების იმედს მოკლებულებმა, ვურჩიოთ ბილიარდის მეფეს მოეშვას თავის გატაცებას? ან იქნებ ხელი ჩავიქნიოთ და ნება მივცეთ ნახევრად ლეგალურ საზოგადოებას თავის სრულუფლებიან წევრად მიიღოს იგი? დათოს ხომ ასეთი დიდი იმედი აქვს, რომ შევძლებთ გადავხედოთ ჩვენს დამოკიდებულებას ბილიარდისადმი, უფრო სწორად, შევძლებთ გავარჩიოთ ცნებები — საბილიარდო და ბილიარდი, დათო ელის, და არა მარტო დათო, რომ დავეხმარებით მას.

ჯერ ელის...

**პეპი გოჩორიშვილი.**

---

პასუხი „ლელოს" ● ქმედითობა

## „ტირს მოედანი ხომ არ შეეწირება?"

**16 მარტს „ლელოში" გამოქვეყნებული წერილის „ტირს მოედანი ხომ არ შეეწირება?" პასუხად გაცნობებთ:**

**ორი წლის წინ საბურთალოს რაიაღმასკომის თხოვნით და ინიციატივით საქართველოს დოსაფის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი რაიონის დოსაფის კომიტეტს 150 ათასი მანეთი გამოუყო და 52-ე საშუალო სკოლის სპორტული მოედნის ქვეშ ტირის აგება შესთავაზა. სკოლის ხელმძღვანელობა წინააღმდეგი არ ყოფილა.**

**მშენებლობა დაიწყო 1988 წლის იანვარში საქართველოს აგრომშენის №1 ტრესტის პირველმა სამმართველომ. აგრომშენის რეორგანიზაციის შემდეგ, საქმე „საქკოლმშენის" (უფროსი მ. წიკლაური), №1 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი ა. ჭადაძე) გააგრძელა.**

**ტირის მშენებლობამ სკოლის სპორტული კომპლექსის დანგრევა მოითხოვა, სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კი მოედანი უნდა აღდგენილიყო, რაც ხარჯთაღრიცხვითაა გათვალისწინებული.**

**დღეისათვის სამუშაოთა დიდი ნაწილი (140 ათასი მანეთი) შესრულებულია, მიმდინარეობს სკოლის სპორტული კომპლექსის აღდგენის სამუშაოები. მიუხედავად ცალკეული შეფერხებებისა მშენებლებს დაგეგმილი აქვთ სამუშაოები წელსვე, II კვარტალში დაამთავრონ.**

**დავით ჯაფარიძე,**
**საბურთალოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

---

ფიზკულტურა ყველასთვის

## ყველაზე უმცროსი მონაწილე 58 წლისაა

**ქუთაისში,** სპორტკლუბ „ლოკომოტივის" სპორტულ ბაზაზე პირველად ჩატარდა რკინიგზის კვანძის ომისა და შრომის ვეტერანთა სპარტაკიადა. მასში მონაწილეობდნენ სალოკომოტივო დეპოს, სალიანდაგო დისტანციის, სავაგონო პუნქტის, სადგურ ქუთაისი-1-ის, სარემონტო უბნის, ენერგომომარაგებისა და ტელეგრაფის განყოფილების ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლები.

სტარტზე გამოვიდა ომის 13 და შრომის 35 ვეტერანი. ყველაზე უმცროსი მონაწილის ასაკი 58 წელი გახლდათ.

პროგრამაში შედიოდა ბურთის მიზანში სროლა, სიმძიმეების აწევა, მკლავგოლი და სხვ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დიდი სამამულო ომის ვეტერანთა შეჯიბრება მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში ყველას აჯობა სალოკომოტივო დეპოს თანამშრომელმა ოთარ ოსაძემ, მეორე ადგილზეა გერონტი ობოლაძე (სალიანდაგო დისტანცია), მესამეზე — სპარტაკიადის „ერთ-ერთი ყველაზე უფროსი მონაწილე 78 წლის ლეონიდ შუკლინოვი.

არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა შრომის ვეტერანთა ასპარეზობაც. რკინიგზის სარემონტო უბნის წარმომადგენელ ოთარ მელაშვილს თანატოლებმა პირველობა მიულოცეს წარმატება და საერთო ჩათვლაში გამარჯვება. მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად იასონ ცნობილაძე (ენერგო-მომარაგება) და გიორგი მაწკეპლაძე (სალიანდაგო დისტანცია) გავიდნენ.

სპორტკლუბ „ლოკომოტივის" საქალაქო საბჭოს მიერ დაწესებული პრიზები, ფასიანი საჩუქრები და საპატიო სიგელები საპრიზო ადგილებზე გასულ ამ ჭარმაგ მამაკაცებს გადასცა რკინიგზის კვანძის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ლავრენტი ხომასურიძემ.

ვეტერანებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ხშირად მიიღონ მონაწილეობა ამგვარ საინტერესო შეჯიბრებებში, რაც მათი ჯანმრთელობის განმტკიცების საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ.

**თამაზ კოლხიდელი,**
**(„ლელოს" საკ. კორ.)**

ქუთაისი.

---



## გოგონებმა კარგად ითამაშეს

**მოლდავეთის** ქალაქ ტირასპოლში ჩატარდა ბალახის ჰოკეისტ გოგონათა ახალგაზრდული საკავშირო ჩემპიონატის მეოთხედფინალური ტურნირი. მოასპარეზეთა შორის იყვნენ ლენინგრადის „ბალტიკა", მინსკის „ორბიტა", ხმელნიცკის „ბურევესტნიკი", შაულიაის „ჟალგირისი", ტირასპოლის „ტექსტილშჩიკი" და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გუნდი „ფეიქარი".

დებულებით, ნახევარფინალურ ეტაპზე გადიოდა მხოლოდ სამი გუნდი, ასე რომ, ბუნებრივია, ტურნირი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა.

პირველ ტურში ქუთაისელმა გოგონებმა ანგარიშით — 1:0 დაამარცხეს ბალტიისპირელთა საკმაოდ ძლიერი გუნდი. მეორე და მესამე ტურებში „ფეიქარმა" ფრედ — 0:0 — დაამთავრა შეხვედრები „ბურევესტნიკთან" და „ორბიტასთან", შემდეგ კი ანგარიშით 2:0 სძლია „ბალტიკას". უაღრესად დაძაბული გამოდგა ბოლო მატჩი ტირასპოლელებთან — ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, შემდეგ „ფეიქრის" თავდამსხმელმა ე. კილაძემ 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამრიგად, ქუთაისელებმა ორი მატჩი მოიგეს, სამი ფრედ დაამთავრეს, მოაგროვეს შვიდი ქულა და „ტექსტილშჩიკთან" ერთად I-II ადგილები გაიყვეს. მათთან ერთად ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა „ჟალგირისმა".

ტურნირში ქუთაისის გუნდის ღირსებას იცავდნენ: ნ. თევდორაძე, ი. კვაჭანტირაძე, რ. მანწკავა, მ. და ფ. მამარდაშვილები, ი. ბურჯანაძე, ე. კილაძე (გაიტანა 2 ბურთი), ხ. მელაძე, ლ. კავთელაშვილი (2), მ. მახარეიშვილი, თ. ივანეიშვილი, ი. სვანიძე, ქ. კანკაძე, თ. აბაშიძე და მ. დათიაშვილი.

გოგონებმა კარგად ითამაშეს — გვითხრა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. თევდორაძემ — შედეგითაც კმაყოფილი ვართ და თამაშის ხარისხითაც. ამ წარმატებაში, ცხადია, დიდი წვლილი მიუძღვის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივს.

ჩვენი გუნდი ბირთვია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა, რომელიც მეოთხე საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის ემზადება. ივნისში ქალაქ ბორისპოლში ვიასპარეზებთ. გოგონები ენერგიულად ემზადებიან ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის, მით უმეტეს, რომ მიზნად დავისახეთ გავაუმჯობესოთ წინა თამაშებში ნაჩვენები შედეგი და ამჯერად ათეულში დავიმკვიდროთ ადგილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი გუნდი ყველაზე ახალგაზრდულია, თანაც ქვეჯგუფში ჩვენი მეტოქეები რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის ძლიერი გუნდები იქნებიან, მიზნის მისაღწევად ძნელი ორთაბრძოლები გადაგვხდება. ამასთან, ოქტომბერში პირველ ლიგაში გადასასვლელ ტურნირშიც მივიღებთ მონაწილეობას. ერთი სიტყვით, ჩვენს ჰოკეისტ გოგონებს წინ არაერთი ძნელი და საინტერესო შეჯიბრება ელით.

**(„ლელოს" საკ. კორ.).**

## I ლიგა

9 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VIII ტურის მატჩები.

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:1 (0:0)**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 9 მაისი.**

**„ტორპედო“: ქორიძე, პაპავა, მარეხაშვილი, ბზიკაძე, ნადირაძე, გაბისკირია, მახარაძე, მეგრელაძე, დარასელია, შავდათუაშვილი, ბაკურაძე.**

**„ნეფთჩი“: ჰასანოვი, აბუშევი (ვახაბ-ზადე), აბდულაევი, ასადოვი, ესაულოვი, სულეიმანოვი, ჰუსეინოვი, სადიხოვი, კადიროვი, (მირზოევი), კასუმოვი, ალეკბეროვი.**

**მსაჯი ვ. ლისენკო (ოდესა).**

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების სტარტზე ქუთაისის ტორპედოელებს ერთობ არასახარბიელო მდგომარეობა შეექმნათ, მაგრამ შემდგომში გუნდმა მნიშვნელოვნად მოუმატა თამაშს, ჯერ მეტად პრინციპული მატჩი მოიგო ზაპოროჟიეში „მეტალურგთან“, შემდეგ კი შინ დაამარცხა ორჯონიკიძის „სპარტაკი“ და ახლა ქულა აიღო ბაქოს ძლიერ გუნდთან შეხვედრაში.

მატჩი „ნეფთჩისთან“ მართლაც უკიდურესად დაძაბულად, საინტერესოდ წარიმართა. თამაშის დასაწყისში მეტოქეებმა საგრძნობლად გააძლიერეს დაცვითი ხაზები. ამიტომაც ბურთი უმეტესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა და იშვიათად თუ აღწევდა მეკარეებამდე. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმში იგრძნობოდა, რომელიც ფრედ დამთავრდა — 0:0.

შესვენების შემდეგ ბაქოელები უფრო აქტიურად ამოქმედდნენ, 58-ე წუთზე მასპინძელ მცველთა დაშვებული შეცდომა კარგად გამოიყენა მირზოევმა — 1:0.

ტორპედოელთა დაცვას საგრძნობლად ეტყობა გამოცდილი ფეხბურთელების ნ. ჭელიძისა და ე. თევზაძის არყოფნა, ამიტომაც გუნდი იძულებულია განსაკუთრებული ყურადღებით ითამაშოს თავისი საჯარიმო მოედნის ცენტრალურ ზონაში. მას შემდეგ, რაც ამ მატჩში „ნეფთჩი“ დაწინაურდა, ტორპედოელებმა მნიშვნელოვნად მოუმატეს შეტევებს, რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შექმნეს მეგრელაძემ, დარასელიამ, გაბისკირიამ, ძნელი ბურთები მოიგერია მეკარე ჰასანოვმა, მაგრამ ანგარიში მაინც გათანაბრდა: 74-ე წუთზე მეტოქე მცველებს შორის მოქცეულმა მახარაძემ მოულოდნელად დაარტყა მიზანში — 1:1.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

**„როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1 (0:0)**

**დონის როსტოვი. „როსტსელმაშის“ სტადიონი. 9 მაისი.**

**„როსტსელმაში“: გავრილოვი (ბალახნინი), პაროვინი, ივანოვი,** მარჯარიანი, რომანჩუკი, ოკუნევი, გულაშენკო, ელინი, ხელინი, ხოროკა, ბონდარი.

**„გურია“: ქანთარია, მ. თევზაძე, ოლეფირენკო, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ჟორდანია (დოზმოროვი), ფრიდონაშვილი, კორძალიძე, კაციტაძე, გურული.**

**მსაჯი ნ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).**

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს პირველი ტაიმი, სახიფათო მომენტებიც მრავლად შექმნეს მეტოქის კართან, კერძოდ, ძელს მოახვედრა ბურთი ჟორდანიამ, გოლის გატანა შეეძლოთ ფრიდონაშვილს, გურულს.

და, მაინც, პირველ წარმატებას „როსტსელმაშმა“ მიაღწია, როცა მეორე ტაიმში ოკუნევმა ახლო მანძილიდან ბადეში გაგზავნა ბურთი —1:1. ლანჩხუთელებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს, თამაში გააძლიერეს და 77-ე წუთზე ფრიდონაშვილმა კორძალიძის გადაცემით შეძლო თანაბრობის აღდგენა — 1:1.

**ავთანდილ ორმოცაძე,**
**(„ლელოს სპეც. კორ.).**

VIII ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1, ცსკა — „შინიკი“ 6:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 0:2, „დაუგავა“ (რიგა) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 0:6, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:1, (ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0. სიმფეროპოლის „ტავრიამ“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა ბათუმის „დინამო“.

II ტურის გამოტოვებულ მატჩს სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ ქუთაისის ტორპედოელები 1 ივნისს გამართავენ საკუთარ მინდორზე.

### გათამაშების ცხრილი

### მდგომარეობა 11 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 7 | 0 | 1 | 26-2 | 14 |
| „ნისტრუ“ | 8 | 5 | 1 | 2 | 8-6 | 11 |
| „კაირატი“ | 8 | 4 | 3 | 1 | 14-6 | 11 |
| „ნეფთჩი“ | 8 | 4 | 3 | 1 | 9-6 | 11 |
| „ფაკელი“ | 8 | 3 | 5 | 0 | 5-1 | 11 |
| „მეტალურგი“ | 7 | 4 | 1 | 2 | 7-5 | 9 |
| „ფახთაქორი“ | 8 | 3 | 3 | 2 | 10-5 | 9 |
| „ტავრია“ | 7 | 3 | 3 | 1 | 12-8 | 9 |
| „დინამო“ სტ. | 7 | 2 | 5 | 0 | 4-2 | 9 |
| „კოტაიკი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 9-2 | 8 |
| „ყუბანი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 7-13 | 8 |
| „სპარტაკი“ | 8 | 2 | 3 | 3 | 5-8 | 7 |
| ასკ რ. | 7 | 3 | 0 | 4 | 10-9 | 6 |
| „როსტსელ.“ | 7 | 1 | 4 | 2 | 7-9 | 6 |
| „გეოლოგი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 5 |
| „ტორპედო“ | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 5 |
| „გურია“ | 6 | 1 | 3 | 2 | 7-6 | 5 |
| „დინამო“ ბ. | 7 | 1 | 3 | 3 | 3-10 | 5 |
| „შინიკი“ | 7 | 1 | 2 | 4 | 4-14 | 4 |
| „კუზბასი“ | 8 | 0 | 3 | 5 | 1-9 | 3 |
| ასკ „კარპატი“ | 8 | 0 | 3 | 5 | 5-12 | 3 |
| „დაუგავა“ | 8 | 0 | 3 | 5 | 4-18 | 3 |

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VIII ტურის შეხვედრები: „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 0:1, „ნარტი“ (ჩერქესკი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „დინამო“ (სოხუმი) 1:2, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) 5:4, „ყარაბაღი“ (აგდამი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 1:0, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „ბაკინეცი“ (ბაქო) 2:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:0. „კოლხეთი“ (ფოთი) „გოიაზანი“ (ყაზახი) 3:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „შევარდენი“ (თბილისი) 3:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:0, ომც (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2:3. VII ტურის შეხვედრა ფოთის „კოლხეთსა“ და თბილისის „შევარდენს“ შორის დამთავრდა ფოთელთა გამარჯვებით — 3:1.

### გათამაშების ცხრილი.

### მდგომარეობა 11 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ.“ ს. | 8 | 5 | 2 | 1 | 15-5 | 12 |
| „ხაზარი“ ს. | 7 | 5 | 1 | 1 | 13-5 | 11 |
| „დინამო“ ს. | 6 | 5 | 0 | 1 | 13-5 | 10 |
| „დილა“ | 7 | 4 | 2 | 1 | 9-7 | 10 |
| „მეტალ.“ | 8 | 3 | 4 | 1 | 9-5 | 10 |
| „ტექსტილ.“ | 6 | 4 | 1 | 1 | 13-3 | 9 |
| „ტორპედო“ | 7 | 4 | 1 | 2 | 11-6 | 9 |
| „ნარტი“ | 7 | 4 | 1 | 2 | 8-6 | 9 |
| „კოლხეთი“ ფ. | 7 | 4 | 0 | 3 | 10-6 | 8 |
| „ყარაბაღი“ | 7 | 4 | 0 | 3 | 7-11 | 8 |
| „ქიაფაზი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 14-14 | 7 |
| „გოიაზანი“ | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 7 |
| „კოლხეთი“ ხ. | 7 | 2 | 3 | 2 | 8-9 | 7 |
| „ბაკინ.“ | 7 | 2 | 3 | 2 | 6-10 | 7 |
| „ატომმაში“ | 7 | 2 | 1 | 4 | 5-9 | 5 |
| „დინ.“ (მახ.) | 7 | 1 | 3 | 3 | 10-10 | 5 |
| „ლოკ.“ (მ. წყ.) | 7 | 1 | 3 | 3 | 9-11 | 5 |
| „ხაზარი“ ლ. | 7 | 2 | 0 | 5 | 4-9 | 4 |
| „მერცხ.“ | 7 | 1 | 2 | 4 | 9-12 | 4 |
| ომც (თბ.) | 8 | 1 | 1 | 6 | 8-19 | 3 |
| „შევარდ.“ | 6 | 1 | 0 | 5 | 5-13 | 2 |
| „ზვეზდა“ | 6 | 0 | 2 | 4 | 8-17 | 2 |

## 16 წლამდე...

**წარმატებით** დაიწყო ევროპის ჩემპიონატი 16 წლამდე ფეხბურთელთა შორის (შეჯიბრება დანიაში მიმდინარეობს). ჩვენმა ფეხბურთელებმა სტარტზე ანგარიშით 2:1 დაამარცხეს შოტლანდიის თანატოლთა გუნდი, მაგრამ მერე მხოლოდ ქულა აიღეს იტალიელებთან — 2:2. გადამწყვეტი მატჩი ჩვენს გუნდს გდრ-ის ნაკრებთან ჰქონდა, თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ —1:1, დამატებითი პენალტებით გამარჯვება მოიპოვეს გერმანელმა ფეხბურთელებმა — 6:5.

გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ გდრ-ის, საფრანგეთის, პორტუგალიისა და ესპანეთის გუნდები, რომლებმაც თავიანთ ქვეჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს. სულ ტურნირში 14 გუნდი მონაწილეობდა.

მორალის თემაზე

# მუშტებს უმიზეზოდ არ იქნევენ...

**ამონაწერი** 30 აპრილის გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებული საკდესის მასალიდან „ბრძოლა... აუზის კიდეზე“: „წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის წინასწარი შეჯიბრების ბოლო დღე ოლიმპიური სპორტკომპლექსის საცურაო აუზში ჩაიშხამა სერიოზულმა ტრავმამ, რომელიც „უნივერსიტეტის“ მეკარე ნიკოლაი შაროფეევმა მიიღო, მაგრამ მას თვალი მატჩის დროს როდი დაუშავდა: გოლკიპერზე თბილისის დინამოელებმა „იერიში“ მიიტანეს მაშინ, როცა სტუდენტებმა ალმა-ათის „დინამოსთან“ შეხვედრა დაასრულეს.

მაყურებელთა თვალწინ, რომელთა შორის ბევრი ბავშვი იყო, პირდაპირ აუზის კიდეზე სამნი ერთს თავს დაესხნენ. ამის შედეგად საჭირო გახდა „სასწრაფოს“ გამოძახება“.

ამ ინფორმაციამ მეტად დაგვწყვიტა გული. ჯერ ერთი, თბილისელი წყალბურთელები მრავალწლიანი შესვენების შემდეგ სულ ახლოს იყვნენ მიზანთან — საკავშირო ჩემპიონატის მედლების მოპოვებასთან, მაგრამ კარს მომდგარი წარმატება თვალსა და ხელს შუა დაკარგეს. მეორეც, რა გაუჭირდათ ჩვენებს ისეთი, რომ ემოციები ვერ მოთოკეს, მაყურებლის თვალწინ მუშტი-კრივი გამართეს და სხვათა სალაპარაკო გაგვხადეს. რაც მთავარია, ჩვენმა ბიჭებმა, ქართველმა ბიჭებმა, სად დაკარგეს ის რაინდული თვისებები, რომლითაც მუდამ ასე ვამაყობთ? აბა, რა ვაჟკაცობაა, სამი ერთს მივარდეს და სცემოს? აი, კითხვები, რომლებმაც აგვაღელვა და აგვაფორიაქა.

მაინც, რა მოხდა მოსკოვის ოლიმპიურ აუზში?

ამ ინციდენტის შესახებ უნდა ემსჯელა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომას და თავისი გადაწყვეტილება გამოეტანა. ასეც მოხდა. მაგრამ სანამ ამ გადაწყვეტილებას გაგაცნობდეთ, პრეზიდიუმის სხდომაზე გამოთქმულ ზოგიერთ აზრს გაგაცნობთ.

პრეზიდიუმის სხდომა „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებული წერილის გაცნობით დაიწყო. მერე კი...

**ჯემალ მიქელაძე** („დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე): „ჩემი ვარაუდით, თქვენ და უნივერსიტეტელები ერთმანეთთან შეხვედრის საბოლოო შედეგზე სამარცხვინოდ შეთანხმდით, მაგრამ მოსკოველებმა სიტყვა გატეხეს. ერთ დანაშაულს მეორეც მიუმატეთ და მაყურებლის წინაშე ჩხუბიც ატეხეთ“.

**ცნობისათვის:** თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „უნივერსიტეტის“ შეხვედრა ტურის ბოლოსწინა დღეს გაიმართა. მათი პაექრობა თითქოს ფრედ თავდებოდა, მაგრამ შეხვედრის დასასრულამდე ოთხიოდე წამით ადრე უნივერსიტეტელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს. შეხვედრამ ყოველგვარი ინციდენტის გარეშე ჩაიარა. ტურის ბოლო დღეს „უნივერსიტეტისა“ და ალმა-ათის დინამოელთა შეხვედრა ფრედ დასრულდა. ამის შემდეგ, ტურის უკანასკნელ შეხვედრაში, ის ის იყო თბილისელებისა და მოსკოვის „ტორპედოს“ წარმომადგენელთა მატჩი უნდა დაწყებულიყო და ჩხუბიც ატყდა.

**გიორგი ზუმბულიძე:** (წყალბურთელი): „მე მინდა ვთქვა, რომ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებული წერილი ფაქტებს მთლად სწორად არ ასახავს. ჩვენ მაყურებლის თვალწინ არ გვიჩხუბია. საშხაპეში ვიჩხუბეთ. ამასთან, სამნი ერთის წინააღმდეგ კი არა, ათის პირისპირ ვიდექით. მაგრამ თავს არ ვიმართლებთ. ვიჩხუბეთ, დავაშავეთ და უნდა დავისაჯოთ კიდეც“.

**დევი გვახარია** (წყალბურთელი): „ჩვეულებრივი ჩხუბი იყო, საშხაპეში უნივერსიტეტელებთან შელაპარაკება მოგვივიდა და... არა, მეტს ვერაფერს ვიტყვი.“

**კახა კანდელაკი** (წყალბურთელი): „საშხაპეში ჩემთვის ვიდექი. შაროფეევი გამოვარდა და დამარტყა. მეც მუშტით ვუპასუხე. იქ ჩვენ სამნი ვიყავით, მოსკოველები — მთელი გუნდი, სულაც არ მეფიქრია შაროფეევის ისე დაშავება, როგორც დაშავდა“.

**მიხეილ გიორგაძე** (მეკარე): „უნივერსიტეტთან“ ჩვენს შეხვედრაში, სამწუხაროდ, მსაჯებმა შეცდომები დაუშვეს. მეორე დღეს, როცა „ტორპედოსთან“ შესახვედრად მოთელვას ვამთავრებდით, ყველანი წყალში ვიყავით. ზუმბულიძე, გვახარია და კანდელაკი სასტარტო ექვსეულში არ გამოდიოდნენ და ამიტომ საშხაპეში ცოტა ადრე გავიდნენ. მოთელვისას შემთხვევით გასახდელისკენ გავიხედე და დავინახე აუზში როგორ შემოვიდა გვახარია. მას უკან დასისხლიანებული შაროფეევი მოჰყვა, დევის წამოეპარა და სახეში ჩასცხო. ეს აუზში შეკრებილმა მაყურებელმაც (სხვათა შორის, ისინი ძალიან ცოტანი იყვნენ) დაინახა. აუზში, მაყურებლის თვალწინ, ამის მეტი ჩხუბი არავის დაუნახავს. ნეტა იმ კორესპონდენტმა სადღა ნახა, რომ სამმა თბილისელმა ერთი მოსკოველი გალახა? ერთიც მინდა ვთქვა. რა თქმა უნდა, ზუმბულიძემ, გვახარიამ და კანდელაკმა დააშავეს და უნდა დაისაჯონ კიდეც, მაგრამ მინდა ისიც გაითვალისწინოთ, რომ მათ წინათ გუნდისთვის ბევრი რამ გაუკეთებიათ“.

**თამაზ კუტივაძე** (გუნდის კაპიტანი): „მეც დავინახე, გვახარიას როგორ წამოეპარა შაროფეევი და გაარტყა. დევის ცხვირიდან სისხლი წასკდა. მერე შაროფეევმა დემონსტრაციულად დაიწყო სირბილი და ყველას გასაგონად ყვიროდა, აი, თბილისელებმა როგორ გამლახესო. ბოლოს მოსკოველებმა ექიმისგან ცნობა აიღეს, ჩვენ კი ეს ვიუკადრისეთ. ამასთან, უნივერსიტეტელები მოითხოვდნენ ბლოთურიასა და რამიშვილის დასჯასაც. გინდა თუ არა, ჩხუბში ისინიც მონაწილეობდნენო. ამგვარ დაინტერესებას განსაკუთრებით რამიშვილის მიმართ იჩენდნენ“.

**ჩვენი კომენტარი:** მკითხველს შევახსენებთ, რომ თბილისის ბოლო ტურში რამიშვილი ლვოველ თანაკლუბელებთან შეხვედრის მეორე პერიოდში მეტოქესთან მცირე შეხლა-შემოხლისთვის სარბიელიდან შეცვლის უუფლებოდ თამაშის ბოლომდე გააძევეს (ეს გაძევება ძალზე ძვირად დაგვიჯდა, ის შეხვედრა წავაგეთ. არადა, მაშინ ის 2 ქულა რომ აგვეღო, ახლა თბილისელები მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებდნენ). ასეთ შემთხვევაში, წესისამებრ, მოთამაშე ავტომატურად ერთ მომდევნო შეხვედრას ტოვებს. დისციპლინარული კომისია კი მოითხოვდა, რამიშვილმა სამი შეხვედრა უნდა გამოტოვოსო. საბოლოოდ რამიშვილს ორი მატჩი გამოატოვებინეს. ეტყობა, უნივერსიტეტელები განსაკუთრებით ამიტომაც იყვნენ დაინტერესებულნი, რომ რამიშვილისთვის როგორმე ოლიმპიურ აუზში ჩხუბში მონაწილეობა დაებრალებინათ და დაემტკიცებინათ კიდეც. [illegible] ნენ, როგორც არაეთიკურ საქციელში ერთხელ უკვე შემჩნეულს, რამიშვილს ძალზე მკაცრი სპორტული სასჯელი ელოდა.

**ირაკლი ჩხიკვაძე** (თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსი): „ჩვენს ბიჭებს არ ვამართლებ, მაგრამ გამწარებულები იყვნენ და თავი ველარ შეიკავეს. ისინი ხომ ასე ახლოს იყვნენ მიზანთან, ზუმბულიძისთვის ეს მგონი ბოლო შანსი იყო, რომ საკავშირო ჩემპიონატის მედალი მოეპოვებინა. ბიჭებმა იცოდნენ ჩხუბისთვის რა სასჯელიც ელოდათ, მაგრამ ამას ანგარიში ველარ გაუწიეს“.

**ვალერი ჩოლარია** („დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი): „აი, ახლა ჩვენ იმაზე ვმსჯელობთ, როგორ დავსაჯოთ ზუმბულიძე, გვახარია და კანდელაკი, მაგრამ ვერც მათი, ვერც თანაგუნდელებისა და გუნდის ხელმძღვანელობის ნაამბობიდან (უფროსი მწვრთნელი გივი ჩიქვანაია პრეზიდიუმის ამ სხდომას არ ესწრებოდა. გუნდის საქმეებმა იგი მოსკოვს შეაფერხა. ა. გ.), ვერ გამიგია რა აჩხუბებდათ. რა იყო მუშტი-კრივის ჭეშმარიტი მიზეზი? უმიზეზოდ ხომ არაფერი ხდება? თუ მაინცდამაინც საჩხუბრად ჰქონდათ საქმე, ერთმანეთთან შეხვედრის დამთავრებისთანავე უნდა ეჩხუბათ, და არა მეორე დღეს“

პრეზიდიუმმა დაადგინა: დევი გვახარიას, გიორგი ზუმბულიძეს და კახა კანდელაკს მიეცეთ დისკვალიფიკაცია. მწვრთნელებს გამოეცხადოთ საყვედური, ხოლო გუნდის უფროსს — სასტიკი საყვედური.

**ჩვენი კომენტარი:** „თბილისი დინამოელთა სამი წამყვანი მოთამაშე დანაშაულის გამო დაისაჯა. მათ გარეშე ჩვენს გუნდს ძალზე გაუჭირდება, მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. მთავარი ისაა, რამ გამოიწვია ჩხუბი, ეს კი ყველასათვის აუხსნელი დარჩა. ამაზე ახლა მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება. თავს ნებას მივცემთ ჩვენი ვარაუდი თუ ეჭვი მაინც გამოვთქვათ.

ეტყობა, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „უნივერსიტეტის“ შეხვედრის შედეგზე ორივე გუნდმა წინასწარ მოილაპარაკა. არც თბილისელებსა და არც მოსკოველებს, ერთმანეთთან შეხვედრაში, არავითარი გარანტია არ ჰქონდათ, რომ გაიმარჯვებდნენ. ასეთ შემთხვევაში გარანტირებული ფრე ორივესთვის სასურველი შედეგი იყო. მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე ოთხიოდე წამით ადრე უნივერსიტეტელებმა, ნებსით თუ უნებლიეთ გამარჯვების გოლი გაიტანეს. როგორც ვთქვით, ეს შეხვედრა ინციდენტის გარეშე დასრულდა, მაგრამ საკითხავია, უნივერსიტეტელებმა სხვა პირობაც ხომ არ დადეს და სიტყვა მეორედაც ხომ არ გატეხეს?“

მაგრამ, ვიმეორებთ, ეს ყველაფერი მარჩიელობაა, დამამტკიცებელი საბუთი კი ჩვენ არ გაგვაჩნია. არადა, ჩვენი წყალბურთელები ამგვარ ვარაუდს გვერდს უვლიან. ეს გასაგებიცაა — თამაშის შედეგზე წინასწარი გარიგების დამტკიცება ხომ ორივე გუნდს შავ დღეში ჩააგდებს.

იქნებ ყველაფერს ნათელი მოჰფინოს წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ რომელმაც ეს საკითხი უნდა განიხილოს.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

## კავშირის თასზე

**სსრკ** საფეხბურთო კავშირის თასის V ტურის ორი მატჩი გაიმართა 8 მაისს: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:2, „დინამო“ (მინსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:1.

## წილისყრა

**ევროპის** საკლუბო ტურნირების 1989-90 წლების გათამაშების წილისყრა ჟენევაში შედგება 12 ივლისს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადებით გამოვიდა ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის წარმომადგენელი. პირველი ეტაპის შეჯიბრებები გაიმართება 13 და 27 სექტემბერს.

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის VII და VIII ტურების შეხვედრები: „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მზიური“ (გალი) 0:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:0, „დინამო“ (გაგრა) — „სულორი“ (ვანი) 4:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:0, „სიონი“ (ბოლნისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 5:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ივერია“ (ხაშური) 4:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:1, „მზიური“ (გალი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:2, „ივერია“ (ხაშური) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:3, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 3:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „სიონი“ (ბოლნისი) 2:1, „სულორი“ (ვანი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 0:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში

# მუსიკის გარეშე

ყველასათვის ცნობილი საჭიდაო მელოდია არ დაკრულა სოფელ ქვიშხეთში, ლევან თედიაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზში, სადაც რესპუბლიკური ჩემპიონატი გაიმართა. ამით და წუთიერი დუმილით გამოხატეს პატივისცემა შეჯიბრების მონაწილეებმა და მაყურებლებმა თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა მიმართ.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში მრავალეტაპიანი შეჯიბრებაა და ამის წყალობით საქართველოს ბევრ რაიონს მოიცავს. წინასწარი შეხვედრების შემდეგ გამოვლინდა 21 რაიონის 140 საუკეთესო ფალავანი, რომლებმაც საბოლოოდ ქვიშხეთში მოიყარეს თავი. ქართულ ჭიდაობაში საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელის სიმონ მაისურაძის აზრით, ეს შეჯიბრება მონაწილეთა რიცხვითა და შემადგენლობით საკმაოდ კარგი იყო. საერთოდ, ბოლო ხანს აშკარად იზრდება ინტერესი ქართული ჭიდაობისადმი, ბევრი ცნობილი ფალავანი ხალისით გამოდის საკუთარი რაიონისა თუ სოფლის ღირსების დასაცავად და თუ არა ზემოხსენებული მიზეზი, ჩემპიონატი ალბათ საზეიმო, ღირსეული დაგვირგვინება იქნებოდა წინა ეტაპებზე გამართული ტურნირებისა, მაგრამ... თუმცა ს. მაისურაძის თქმით, ქვიშხეთელი მაყურებელი მრავალი საინტერესო ორთაბრძოლის მხილველი გახდა. ადრინდელისაგან განსხვავებით, მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს დასავლეთ საქართველოს მოჭიდავეებმა. მაყურებლებს უთუოდ დაამახსოვრდათ ზუგდიდელ ზ. ბულაიასა და ხაშურელ ჯ. ლომსაძის, საჩხერელ ჯ. დეკანოსიძისა და თერჯოლელ მ. თურქაძის, გურჯაანელ გ. ტატიშვილისა და ქარელელ გ. იმერლიშვილის, რუსთაველ დ. გამრეკელაშვილისა და საგარეჯოელ რ. რუაძის, აგრეთვე სხვათა და სხვათა შერკინებები. ასპარეზობამ ბევრი პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა.

**სამწუხაროდ, ისიც უნდა გაცნობოთ, რომ შეჯიბრებას თავი აარიდეს ახმეტის, თელავის, ყვარლის, გარდაბნის, ცხაკაიის, ზესტაფონის, ონის, ორჯონიკიძისა და ლაგოდეხის მოჭიდავეებმა.**



საქართველოს ჩემპიონები. მარცხნიდან (პირველი რიგი): ჯ. დეკანოსიძე, გ. ტატიშვილი, დ. გამრეკელაშვილი, ზ. შულაია, მეორე რიგში: ა. მულაძე, დ. მეტრეველი, ბ. კაკაშვილი, კ. ამბოკაძე, ბ. გიორგაშვილი.

**ტექნიკური შედეგები**

**56 კგ.** 1. ზ. შულაია (ზუგდიდი), 2. ბ. ბესთაევი (ქარელი), 3. ჯ. ლომსაძე (ხაშური).

**64 კგ.** 1. გ. ტატიშვილი (გურჯაანი), 2. მ. ავაზნელი (გორი), 3. ზ. იმერლიშვილი (ქარელი).

**68 კგ.** 1. დ. გამრეკელაშვილი (რუსთავი), 2. დ. რუაძე (საგარეჯო), 3. კ. კუჭაშვილი (ჭიათურა).

**72 კგ.** 1. ბ. გიორგაშვილი (გორი), 2. კ. ელბაქიძე (ხაშური), 3. გ. ნოზაძე (ხაშური).

**78 კგ.** 1. ა. ამბოკაძე (გორი), 2. ბ. ჩიხელიძე (ჭიათურა), 3. გ. ხორბალაძე (კასპი).

**84 კგ.** 1. ბ. კაკაშვილი (გორი), 2. ბ. ზაკუტაშვილი (ქარელი), 3. ვ. ბერიაშვილი (თბილისი).

**90 კგ.** 1. დ. მეტრეველი, 2. პ. მულაძე (ხაშური), 3. ვ. თაყაძე (რუსთავი).

**+90 კგ.** 1. ა. მულაძე (ხაშური), 2. დ. ჩოჩიშვილი (გორი), 3. გ. ნოზაძე (რუსთავი).

# მუშტი-კრივი მოედანზე

**ჩიკაგო.** ძაბულად მიმდინარეობს სტენლის თასის (ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის ჩემპიონატი) ნახევარფინალური მატჩები. მესამე შეხვედრა ადგილობრივმა „ბლეკ ჰოუკსმა" შინ ჩაატარა „კალგარი ფლეიმზის" წინააღმდეგ და დამარცხდა ანგარიშით — 2:5. წაგებით განაწყენებულმა ჩიკაგოელმა ჰოკეისტებმა ცემა-ტყეპა წამოიწყეს ზედ მოედანზე, რომელშიც ორთავე გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

ჩიკაგოელთა მწვრთნელმა მაიკ კინანმა ყველაფერი არაობიექტურ მსაჯობას დააბრალა და არბიტრთა დასჯა მოითხოვა. „ფლეიმზის" მწვრთნელმა ტერი კრისპმა კი განაცხადა:

„ჩიკაგოელები შინ დამარცხდნენ და ეს იყო ჩხუბის მთავარი მიზეზი. მაგრამ ისინი, პირველ რიგში, საკუთარ თავზე უნდა გაბრაზებულიყვნენ, ვინაიდან შეხვედრა მეტად სუსტად ჩაატარეს. მათ კი მუშტების ქნევა დაიწყეს და საკადრისი პასუხიც მიიღეს. სამწუხაროა, რომ ასე მოხდა. ვთვლი, რომ უძლიერესი პატიოსანმა სპორტულმა ბრძოლამ უნდა გამოავლინოს და არა მუშტებმა".

# ამჯერად აირტონ სენა

**მონტე-კარლო.** „ფორმულა-1"-ის მორიგი ეტაპი მონაკოს „გრან-პრი" ბრაზილიელმა ავტომობილისტმა აირტონ სენამ მოიგო. მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ალენ პროსტი („მაკლარენი"). სენამ 77 წრე (3328 კილომეტრი) 52,528 წამით უფრო სწრაფად გაიარა ვიდრე პროსტმა.

ამჯერად წარუმატებლად იასპარეზა ნაიჯელ მენსელმა („ფერარი"). პირველ 30 წრეზე იგი ლიდერთა შორის იყოს, მერე კი სიჩქარეთა კოლოფმა უმტყუნა. როგორც ჩანს, მისი ახალი კონსტრუქციის მანქანა სრულყოფას საჭიროებს. 31-ე წრეზე კოლოფი გაფუჭდა და მენსელმა ბრძოლა შეწყვიტა. იგი „ფერარის" ერთადერთი წარმომადგენელი იყო ამ ბრძოლაში. გუნდის მეორე წევრმა გერჰარდ ბერგერმა, გახსოვთ ალბათ, წინა ეტაპზე ტრავმა მიიღო და ჯერ მწყობრში ვერ ჩადგა.

მომდევნო რბოლა გაიმართება მეხიკოში სამი კვირის შემდეგ.

# მაიკლ ჯორდანის გადამწყვეტი ქულა

**ნიუ-იორკი.** კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატში ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. განსაკუთრებით ძნელი ბრძოლის გადატანა მოუხდა „ჩიკაგო ბულზს" „კლივლენდ კავალიერზთან" შეხვედრაში. გადამწყვეტი მატჩის წინ ანგარიში თანაბარი იყო — ორი შეხვედრა ჩიკაგოელებს ჰქონდათ მოგებული, ორიც — კლივლენდელებს. მეხუთე მატჩის ბოლო წამზე „ბულზის" ბომბარდირ მაიკლ ჯორდანის ეფექტურმა ტყორცნამ გუნდს გამარჯვება (101:100) და ნახევარფინალის საგზური მოუტანა.

აღმოსავლეთის ჯგუფის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „ჩიკაგო ბულზი" — „ნიუ-იორკ ნიქსი" და „მილუოკი ბაქსი" — „დეტროიტ პისტონზი". დასავლეთის ჯგუფში ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: „ლოს-ანჯელეს ლეიკერზი" — „სიეტლ სუპერსონიკსი" და „ფინიქს სანზი" — „გოლდენ სტაიტ უორიორზი".



**სამი** წელია, რაც ტირასპოლელი მორაგბეები უმაღლეს ლიგაში გამოდიან და ამ ხნის განმავლობაში აშკარად აიმაღლეს ოსტატობა, წლევანდელ სეზონში კი 6 ტურის შემდეგ ლიდერთა შორისაც მოგვევლინენ.

ბუნებრივია, აიელებს ამ შეხვედრაში სამგზავრო განწყობილება არ გამოადგებოდათ (გუნდი შეხვედრის დამთავრებისთანავე რუმინეთში მიემგზავრებოდა), მით უმეტეს, რომ დილის 11 საათზე დაწყებული მატჩი კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა.

ქუთაისელებმა თავიდანვე თამაშის სწორი გეგმა აირჩიეს — ისინი ერთთავად ფეხით თამაშობდნენ (ასეთი თამაში, მოგეხსენებათ, ჩემპიონებს შესანიშნავად ძალუძთ) და ბურთიც გამუდმებით სტუმართა ჩასათვლელი მოედნის მისადგომებთან ტრიალებდა.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბში

# „აია"—„ელექტრომაში" 20:9

ანგარიში მასპინძელთა სამმეოთხედელების მიერ სწრაფად გათამაშებული კომბინაციის შედეგად გაიხსნა. თანაგუნდელთა შეტევა ლელოს გატანით დააგვირგვინა ვეტერანმა ოლეგ ლიპარტელიანმა. ნუგზარ ძაგნიძემ რეალიზაცია გამოიყენა და მე-9 წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ — 6:0. სრულიად მოულოდნელად ანგარიში იმავე წუთს გათანაბრდა... ტირასპოლელთა ცენტრიდან დაწყებული კომბინაცია უყურადღებოდ მიტოვებულმა რაკოვსკიმ გრძელი „რეილით" და საპასუხო ლელოთი დაასრულა, პაცურამ კი „სარეალიზაციო" დარტყმა ზუსტად შეასრულა.

ეს იყო და ეს, ამ უეცარი წარუმატებლობის შემდეგ „აია" განუწყვეტელ იერიშებზე გადავიდა და, შეიძლება ითქვას, მატჩის ბედი პირველსავე ტაიმში გადაწყვიტა.

ნაჭყებიამ, მორკინალთა კოლექტიური შეტევის შემდეგ, ოთხი ქულა შესძინა გუნდს. ძაგნიძემ ამჯერადაც ზუსტად დაარტყა რეალიზაცია, ხოლო შემდეგ საკმაოდ შორი მანძილიდან ჯარიმაც შეაგდო, პირველი ტაიმის მიწურულს კი ნემსიწვერიძემ ლელო გაიტანა. მეორე ტაიმში მცირერიცხოვანი მაყურებლის ტაში დაიმსახურა ძაგნიძემ, რომელიც 65-ე წუთზე ცრუ მოძრაობების მთელი სერიით რამდენიმე მეტოქეს გასცდა და შემდეგ მოულოდნელად ზუსტად და ოსტატურად დაარტყა არეკნით. მანამდე პაცურას ერთი საჯარიმო ჰქონდა გატანილი, ასე რომ, ანგარიშით 20:9 გაიმარჯვა „აიამ", რომელიც კვლავ სათავეში უდგას გათამაშების ცხრილს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ამავე დღეს „აია" გაემგზავრა რუმინეთში, სადაც სამ საერთაშორისო შეხვედრას გამართავს ევროპული რაგბის ამ ერთ-ერთი აღიარებული ქვეყნის სამ წამყვან გუნდთან.

ამ ტურნეში გუნდს თან ახლავან უფროსი მწვრთნელი და საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების წევრები: ძაგნიძე, ლოსაბერიძე და ზუევი, რომლებიც ამ დღეებში საფრანგეთში გაემგზავრებიან ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩის ჩასატარებლად.

**თამაზ კოლხიდელი.**
(„ლელოს" საკ. კორ.).

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო გთავაზობთ მოგზაურობას:**

**გემით:**

ვოლგაზე თბომავალ „ვ. მაიაკოვსკით" — 18 ივნისიდან 8 ივლისამდე. მარშრუტი თბილისი-პერმი-ულიანოვსკი-მოსკოვი-პერმი. საგზურის ღირებულება 542-642 მანეთამდე.

თბომავალ „ზ. ჟუკოვით" — 24 ივნისიდან 16 ივლისამდე. მარშრუტი: თბილისი-ვოლგოგრადი-ასტრახანი-მოსკოვი-ვოლგოგრადი (528-დან 572 მანეთამდე).

ენისეიზე თბომავალ „ა. ჩეხოვით" — 9-დან 27 ივნისამდე. მარშრუტი: თბილისი-კრასნოიარსკი-დუდინკა-კრასნოიარსკი (800 მან).

**თვითმფრინავით:**

ვილნიუსი-რიგა — 17-დან 26 მაისამდე (10 დღით, საგზურის ღირებულება 265 მან).

რიგა-ვილნიუსი — 31 მაისიდან 9 ივნისამდე (10 დღით, 261 მან).

მინსკი-ლენინგრადი — 28 მაისიდან 5 ივნისამდე (8 დღით, 259 მან).

ვილნიუსი-რიგა-ტალინი — 30 მაისიდან 13 ივნისამდე (15 დღით, 370 მან).

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა, სასტუმრო, კვება და საექსკურსიო მომსახურება.

**ავტობუსით:**

20-დან 30 მაისამდე და 30 მაისიდან 9 ივნისამდე (10 დღით) — ჩრდილოეთ ოსეთის ტურბაზა „ურსდონში". საგზურის ღირებულებაა 128 მან.

მიიღება ინდივიდუალური და კოლექტიური შეკვეთები. საგზურები იყიდება როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ საგზურების რეალიზაციის განყოფილებაში.

მისამართი: მეტეხის აღმართი, 4, ტელ: 74-40-67.

**საქართველოს სარეკლამო სააგენტო.**

საქართველოს სპორტსახკომის აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სპორტსახკომის სპეციალურ სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს „ოლიმპიადმშენის" უფროსს ნოდარ ჯობავას დედის

**ნელი ქირია-ჯობავას**

გარდაცვალების გამო.

### ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 11 მაისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მშვიდობის ველორბოლა — **21.30 (2).**

**12 მაისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **13.55 (2)** და **21.30 (2);** მშვიდობის ველორბოლა — **0.35 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 11 მაისი.** სპორტული გადაცემა — ევროპის სტადიონებზე — **21.25.**

**„სპორტპროგნოზი", 21-ე ტირაჟის პროგრამა (20-21 მაისი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი რაგბში. საფრანგეთი.** | | | | |
| 1. საფრანგეთი — სსრ კავშირი | 20.V | 50 | 20 | 30 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 2. „მეცი" (მეცი) — „მონაკო" | 20.V | 10 | 60 | 30 |
| 3. „ლანი" (ლანი) — „პარ სენ-ჟერმენი" (პარიზი) | 20.V | 40 | 30 | 30 |
| 4. „მარსელი" (მარსელი) — „ოსერი" (ოსერი) | 20.V | 70 | 20 | 10 |
| 5. „სტრასბური" (სტრასბური) — „ტულუზა" (ტულუზა) | 20.V | 10 | 60 | 30 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 6. „ვერონა" (ვერონა) — „ასკოლი" (ასკოლი) | 21.V | 70 | 20 | 10 |
| 7. „მილანი" (მილანი) — „ჩეზენა" (ჩეზენა) | 21.V | 70 | 20 | 10 |
| 8. „ლაციო" (რომი) — „ფიორენტინა" (ფლორენცია) | 21.V | 10 | 60 | 30 |
| 9. „ბოლონია" (ბოლონია) — „ინტერი" (მილანი) | 21.V | 10 | 50 | 40 |
| 10. „იუვენტუსი" (ტურინი) — „რომა" (რომი) | 21.V | 60 | 30 | 10 |
| 11. „ატალანტა" (ბერგამო) — „სამპდორია" (გენუა) | 21.V | 20 | 50 | 30 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 12. „ესპანიოლი" (ბარსელონა) — „ხიხონი" (ხიხონი) | 21.V | 70 | 20 | 10 |
| 13. „სევილია" (სევილია) — „სარაგოსა" (სარაგოსა) | 21.V | 70 | 20 | 10 |

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10356